

VI

პარი შექვესა

ყარამანიანი

სპარსულიდან ქართულად ნათარგმნი, სახლთხუცის და
სარდლის თავ. დავით ორბელიანისაგან. „საამოთ სა-
სმენელი“.

მესამე გამოცემა საკუთარის რედაქციით

დ. ლაზარევის-მიერ.

თ ი ფ ლ ი ს ლ.

Типографія С. М. Лосаберидзе. || სტამბა სპირიდ. შიხ. ლოსაბერიძისა.
1914.

შ ი ნ ა - ა რ ს ი

ამბავი ყარამანის შვილისა ნარიმანისა.—ამბავი ყოვლის შირვანისა.—
ამბავი ქუჩუკ-ყარამანისა.—ამბავი ყარამანია ქალაქის აშენებისა და ყარამანის
დაბრმავებისა.—აქ დაბადება ყარამანის შვილისა ნარიმანისა, სარვიხურამანისა-
გან.—აქ ყარამანისაგან აშენება ქალაქისა.—აქ ყარამანის დის-წულის ყოვლის-
შირვანის მოსვლა.—აქვე ყარამანისაგან გამოცდით ბრძოლა და იმისი ძლევა—
აქვე ნარიმანის უკუდგომა, ყარამანია ქალაქში შესვლისა, და ნარიმანისაგან
ყარამანის ბრძოლა, აქვე საჰმანისა და ნარიმანის ბრძოლა—აქვე ნარიმანისა და
ყოვლიშირვანის ბრძოლა, ყოვლიშირვანისაგან ნარიმანის შეპყრობა და ყარამანის
შერიგება.—კვალად ყარამანისა და ნარიმანის ამბავი.—აქვე ყოვლიშირვანის
მოსვლა, ყარამანის მოსახმარებლად, მისგან ნარიმანის დამორჩილება და ყარა-
მანთან შუამავლობით, ნარიმანის შერიგება.—აქ ეშმაკისაგან ყარამანის გამოცდა
და ბურჯ-ვეზირისაგან მისი მოძღვრება.—აქვე ყარამანისაგან შეცვლა ზანგაჟ;
გამოსაცდელათ სარვიხურამანისა, ნარიმანისა, გარსაშიბისა და ყოლიბანისა.—
ყარამანისაგან მათი ძლევა, ნარიმანის შეპყრობა და წაყვანა.—აქ ნარიმანის
ამბავი, ოდეს უჩინო შეიქმნა, ხოჯა-მერაბს ეშვილა და მრავალი სახელოვანი
საქმეები ჰქმნა, რომელიც დარაბ ფალევენი მოჰკლა და ხელმწიფისა ვისიმე ქა-
ლი უსნიარა ცოლად შეირთო.—კვალად ყარამანის ამბავი.—აქვე ნარიმანის მო-
სვლა თავის ცოლით და შვილით, ქუჩუკ-ყარამანით.—აქვე ყარამანის გამოცდა
ეშმაკისაგან და ყარამანისაგან იმისი შეურაცხ-ყოფა.—აქვე ყარამანისაგან წასვ-
ლა, ჰაზარ-ექდასტის საბრძოლველათ, რომელსაც ათას ერთი ხელი ჰქონდა და
გზაზედ მრავალი მწუხარების შემთხვევა.—აქვე ყარამანის წასვლა ჰაზარ-ექდას-
ტისაკენ, აქვე ჯადოების ამბავი ჰეიყნუსარას, უყნუსარის და ხეთუსანარასი: რო-
მელთაც ყარამანი დააბრმავეს.—ამბავი უმაინ-ფერიის გამოხსნისა და სხვა მრავალ-
ნი სასიამოვნო ამბავი.—კვალად მცირე რამ ყარამანის ამბავი.—და მცირე რამ
საჰმან-ადამ-ზადის ამბავი.

მეფის კარის სურათები.

1. ხოსროშინისა და მისრების ბრძოლა.
2. ურამნის დაბრუნება, ჭეუნუსკას, უენუსკას და ხეთუსანუსკას ჯადებისგან.

პარტი მუშაკებსა

ყარამანიანი

ამბავი ყარამანის შვილის ნარქიმანისა, ამბავი ყოვლი-შირ-
ვანისა, ამბავი ქუჩუკ-ყარამანისა, ამბავი ყარამანია ქალა-
ქის აშენებისა და ყარამანის დაბრძანებისა.

იმ ჟამად, უშანგ-ხელმწიფემ რომ ინდოეთი ყარამანის შემწეობით
დაიბურა და მტერნი სრულიად დაიმორჩილა და წინააღმდეგი არავინა ჰქუან-
და, მაშინ უშანგმა იხება დეშტი-გიოთხადში წასვლა თავის შამის სანახა-
ვად და ბრძანა რომ ეს ქვეყანა ყარამანისთვის ჩამიბარებიათ. და თუ შე
იქ მოგვუდეს, ყარამანისთვის მიმიღოცავს ჩემი ტახტი და ხელმწიფობათ.
ესე რომ ბრძანა მაშინვე წასვლის სამზადისში შევიდნენ, სარგისურამანს
უთხრა, ვიდრე ყარამანი მობრძანდებოდეს, ინდოეთსა და ერანს შენ უნ-
და მოუარო და რაცა მშვიდობით მოვიდეს, ღებინსა და შექცევას იმყო-
ფებოდეთ. შემდეგ შეიყარა ჯარი, უშანგ-ხელმწიფემ, ჩვიდმეტ ას ათა-
სამდე, ერან-თურანელნი, ხომალდებში ჩასხა და დეშტი-გიოთხადისაკენ გა-
ემგზავრნენ.

ყარამანმა ჯინისტანში სახელგანთი საქმეები ჩაიდინა და შემდეგ წა-
მოსვლა დაპირა, შეიტყო რომ სარგისურამანი უშანგბათს ბრძანდებოდა.
ყარამანმა იქაური საქმეები ყოველივე კეთილად განაცო, შემდეგ იმათ
ქველას გამოესალმა და წამოვიდა, რამდენიმე თვე ვლო, მაგრამ უშანგ-
ხელმწიფეს არსად შეხვდა, ისე ზღვაში მომავლობით უშანგბათს მოა-
ტანა: რადესაც სარგისურამანმა ყარამანის მოსვლის ამბავი შეიტყო, დიდ
მზიარულებას მიეცა და წინ მიეკება. ყარამანი უშანგბათში მობრძანდა თუ

არა უგეჯა საქმეს რიგზე განაკება და თვითონ მხიარულად მარადის მეჯღისში იმყოფებოდა. შემდეგ უმანგ-ხელმწიფესაც აცნობა თავის უმანგბათში მოსვლა, რასაკვირველია უმანგსაც დიდათ იამა და მწუხარება იმის გულში აღარა იყო რა.

როდესაც უმანგ-ხელმწიფე თავის ფალეუნებით ხომალდებში ჩასხდნენ და დეშტი-ვიფხადისაკენ გაემართნენ, თვრამეტი დღე ზღვით იარეს და მეთრხრამეტეს დღეს—ერთს კუნძულს მიაღწენ და იმ კუნძულს გარდმოხტნენ, უმანგის ჯარმა მთელი ის კუნძული მოვლო მაგრამ ერთი სულდგომული ვერ იხილეს და მუნ განისვენეს. რა დღეს გათენდა, ამათკან მოსხლეტილი თრმირი ხომალდიც მოვიდა და იგინიც ამათთან გარდმოხტნენ. რა უმანგმა და მუნ მეოფთა იხილეს დიდ მხიარულებას მიეცნენ, მაშინ ხელმწიფემ გარდანქემანს უბრძანა: „აბა ჩემო ერთგულო და ერთსულო გარდანქემანო! ყოველთვის ცხადი ყოფილა ჩემ წინაშე, ყოველი ქვეყნის ამბავი, თუ ავი თუ კარგი, მაგრამ ამ კუნძულის ციხეებისა და აქ მეოფთ ამბავი კი ვერა ვცანით რა და ამაზედ დიდათა ვწუხვარ“.

გარდანქემანმა რომ ესე ბრძანება მოისმინა, მდაბლად თავი დაუკრა და მოახსენა: „მე მონა თქვენი გარდანქემანი, ამ წამსვე მივდივარ, ჩემის ხელმწიფის სამსახურში, ან აჭურ უგეჯა ამბავს გაუწიებთ ანუ ჩემ თავს თქვენ ჭირისანაცვლოთ გაგზადი“. გარდანქემანი მაშინვე თვისსა ბინას მივიდა ზანგის (შავი არაბის) სახელ შეიცვალა, მივიდა და ხელმწიფეს თავი დაუკრა, ვინც გარდანქემანი იმ სახით იხილეს, გაჭკვირდნენ, ასეთი სახე დაედო რომ ყოველი კაცი დანახვით ჰკრთებოდნენ. ხელმწიფემ რომ ესე იხილა ჰკითხა: გარდანქემანო, შენი მაკ გვარ შეცვლის წადილი რა არისო? გარდანქემანმა მოახსენა: ხელმწიფეო, ზანგის ციხეში შესვლას ვაპირებ, თუ ამ სახელ არ შევცვლილო და თუ იმათ ზანგი არ ვეგონო, მაშინვე მომკლავენ, ანუ შემჭამენ; რა ესე სიტყვა დაასრულა ხელმწიფეს თაყვანი სცა, ახსენა სახელი ღვთისა და იმ ზანგთა ციხისაკენ გაემართა და იმ ციხის ძირს მივიდა და ციხე გაშინჯა, დიდ განკვირვებას მიეცა, იგი ციხე სულ ოქროს აგურით იყო ნაშენი, ასეთი მაღალი იყო რომ კაცის თვალი ვერ შესწვდებოდა. გარდანქემანმა იგი ციხე სრულიად გაშინჯა და დიდად ჰკვირობდა და თავსა თვისსა უთხრა: სწი თავო ჩემო, სრულიად მოკივლია ზღვა და ხმელი მაგრამ ამისთანა საკვირველება არა გინახავსრაო! იმ ციხის შენობა ესე იყო, ერთი დიდი მთა აღმოსავლეთიდან იყო ატანილი და მეორე დასავლეთიდან, საშინელი მაღალნი იყვნენ, ამ ორ მთას თავები ერთმანეთს

მიუბრუნებინათ, სამხრეთის და ჩრდილოეთის კლდეები, აქრისავით ბჭევიანად
 ჯებდნენ. გარდანქეშანმა ბევრი უტრიალა რომ კარი ეზოვა, მაგრამ ვე-
 რა ჭეშოვა, ჩრდილოეთის მხრისაკენ რომ მოაუარა, შეხედა ნახა რომ გა-
 ლავანი საშუალო სარტყელსავით რაღაც შემოეფლოთ და ქინკურები დაე-
 ტანებინათ, იგივე აქრისავით ბჭევიანავდა, ქინკურს ზევით ორმოდღა-
 რვა თანჯარა და კარი ჭქონდა, მაგრამ იქ ასვლის წამალი ვერა ჭეშოვა,
 საგდებლის გდებას ლამობდა მაგრამ ვერც ის შესწვდებოდა.

გარდანქეშანი დიდის მწუხარებით უკუიქცა და სთქვა: ვაჰ შე ჩემო
 თავო, ამდენ ხან ჭეშოვანზე გამოჩენილყო, ახლა კი რა უბრალოთ გინდე-
 ბა სახელი, ზღვასა და ხმელში ისეთი ამბავი არა ყოფილა რომ შენ არ
 შეგეტყოს და ამ ციხის ამბავი კი ვერა შეიტყუარა და სირცხვილეული
 უკან ვბრუნდები ხელმწიფესთან. ამისთანა თქმულებში რომ იყო, ძილი მო-
 უვიდა, სიზმარი იხილა, ერთმა ბრწყინვალე ქალმა იმ ციხეში შესვლის
 წამალი ასწავლა, რა გარდანქეშანმა გაიღვიძა მაშინვე მოვიდა იგი ციხე,
 ერთი თანჯარა იხილა რომელსაც საგდებელი შესწვდებოდა, ახსენა ღმერ-
 თი და საგდებელი შესტეორცნა, იმ თანჯარას მოსდვა და გარდანქეშანი
 საგდებელს აეზიდა და ზე ავიდა ვითარცა კაკაბი და იმ თანჯარასთან
 დადგა მცირე ხანს ყურბი დაუგდო, მაგრამ არა მხრიდამ ხმა არ მოის-
 მოდა, შეშინდა და სთქვა: თუ შევიდე, ვაი თუ დამინახოს ვინმემ, თუ
 არა და რა ვუყოფო, ძლიერ შეწუხდა და სთქვა, ამბის უცნობლობას სი-
 კვდილი მირჩევენიაო, მოიღო ბასრი, ნაჯახი და ის თანჯარა გამოიღო,
 რა შიგნით შეიხედა, ერთი უცნოთ ნაშენი სასახლე იხილა, იმასაც კე-
 დლის აგური სულ აქრისი ჭქონდა და კირის მაგიერათ შიდარი ვერცხ-
 ლი ემუშავებინათ. რა გარდანქეშანი შიგნით შევიდა, ნახა რომ ეს სახ-
 ლი უცნოს საფენით იყო მოფენილი, — ტახტი იდგა და იმ ტახტზე
 ერთი ზანგი იწვა და ეძინა, ისეთი საძაგელი რომ იყო რომ მნახავთ შე-
 ეზარებოდათ — და იმ ტახტის ძირს, ექვსის ჯაჭვით შეკრული ქალი ეკ-
 დო მშვენიერი შებნედილი, რა იგი ქალი იხილა, დიდათ შეებრადა და
 იმ ზანგისაკანაც შეშინდა; თვისი ქამანდი მუნ თანჯარას მოზღო და
 კვალად ძირს ჩავიდა, თავის ხანჯალი კარგად გადესა და ზე ავიდა, რა
 ავიდა იმ საძაგელს თავი ტანიდამ განუშორა და გუმბათის ოდენი თავი
 მიწაზედ დაგდო, მივიდა იმ ქალთან ახსნა და მოასუფიერა, რა ცნობას
 მოიყვანა ქალმა დიდათ ამოიხსრა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, ნახა
 რომ თავს ერთი შავი ზანგი ადგა და სისხლიანი ხანჯალი ხელთ უშე-
 რია, ქალმა რომ ნახა იგი ზანგი თავმოკვეთილი და რუსუებრ სისხლი
 სდის, ადგა თუხზე და ხანჯალმ-ჭერალ გარდანქეშანს თავისი სცა და

მოახსენა: „აჲ ფაღვეანო, ვითარცა თქვენ ამ საძაგლის ხელიდან დამის-
სენ, ღმერთმა აგრეთვე შენი საქმე წამართოს კეთილათ და შენი სახე-
ლი აღიდოს“. გარდანქმეანმა ნახა რომ ის ქალი დასაუწყეთის ენით ლა-
შარაკობდა, ჰკითხა: მნათობო, თქვენ ვინა ხართ და სადაური? იმ ქალმა
კვალად ამოიხსრა და მოახსენა: „მე საწყალობელი, მადუქუმის ხელმწი-
ფის ასული ვარ და სახელად გულამერი მეწოდება, მამაჩემს ჩემის მე-
ტი შვილი არა ჰქვანდა და ამიტომ ძლიერ მანებივრებდა, ერთს დამეს
ძილად ვიწვევ, ერთი გრგვინის ხმა მომესმა, რა თვალი ავახილე ვნახე
რომ ერთი საძაგელი ჩემს საწოლს შემოვიდა და მითხრა: სტეი, ქვეყნის
მნათობო, რა შენ გინილეო, ჩემი გული გაარშოიდა, მოდი და ჩემს
სამეფოს წავიდეთო, ესე სთქვა და საუელის ხელი ჩამავლო, მოახლედ
შეძახება მოვინდომე, მაგრამ რაღაც თილისმა მიუო, შემოილოცა, შემო-
ბერა და მუისვე უცნობო ვიქმენ, შემდეგ რომ თვალი გავახილე, ერთს
უებარს წალოტს ვივარ კოშკსა შიგან მწოლარე, როდესაც იმ მალად
გოშვიდამ-ათხსავე მხარეს გარდავიხედე, ასეთი ბადი ვინილე რომ იმა-
ზე უკეთესი არა მინახავსრა, იმის ნაყოფის ნახვა, მნახველთ სიღრცხ-
ლეს შემატებდა კოშკთან ერთი აუზი იყო გაკეთებული რომელიდანაც
უკვდავების შადრევანი გადმოდიოდა, იმ შადრევნის ნახირზე აქრის
ტახტი იდგა და უცნო საფენით იყო მოფენილი, ამიუვანა და იმ ტახტ-
ზე დამსვა, რა ჩემი თავი ისე ვინილე დიდ შიშსა და განკვირვებას მი-
ვიცი. რა იმ ტახტზე ვიჯექ ვნახე ერთი უცნო და მშვენიერი კაცი შე-
მოვიდა და დასაუწყეთის ენით სალაში მომცა, მეც სალაში ჩამოვართვი,
რა ესე მშვენიერი ერმა ვნახე, ჩემი გული იმას შეეცრფო, რა მან ჩემ-
გან მოწყალების თვალთ მიხედვა ნახა, მოვიდა გვერდით მომიჯდა და
თავაზიანი სიტყვებით ბოდიში მოითხოვა და მითხრა: „შენის აჲ მოყვა-
ნისათვის ნუ გამირისხდებიო“. რა ესე მოვისმინე, ვკითხე: ფაღვეანო,
ვინა ბრძანდებით და ან აჲ თქვენ ვინ მოგიუვანათ მეთქი?

იმან მომიგო: მე დიდებულის ვისმეს შვილი ვარ, სახელად ფარის-
სარჯანი მქვიანო და დიდებული ხელმწიფე ვარო, მე რამდენისამე ჯი-
ნის დიდებულებით და ფაღვეანებით, ჰქარში შეგაქცეოდი ვნახე რომ ერ-
თი ჯადო ქვევრზედ იჯდა და მოდიოდა, დავიჭირეთ ის ჯადო და მოვ-
კალით, იმ ჯადოდამ შენ ამოგიუვანეთ, რა შენ გინილე შეგატყუეთ რომ
აღამის ტომი იყავო და დიდებულ ვისმის ასულსა ჰკავდიო, მაშინ ჩემი
გული დიდად შეგეცრფო, მაშინვე უბრძანე ჯინთა და აჲ მოგიუვანე-
სო, ეს ბადი ჩემი შესატყუარია, ხან-და-ხან აჲ მოვალ, ვილხენო და შე-
გაქცევიო. მე საბრალდომ რა ესე მოვისმინე, მართალი მეგონა, მეწადა

რომ მივსულავი და ფერხთ მოვხვევდი, მაგრამ მოთმინებას ვეცადე და არ გაუნამუსდი, იმ ჟამად მოვიდა და ჩემს კაცსაც ღამობდა— პირი-ღამ ასეთი სიმურაჲე ამოსდიოდა რომ სიკვდილად მივიწურე, მაშინვე ვსტან რომ ის ჯადო იყო და უთხარ: ფაღვეანო, ეგ შენ კაცობას არ ეკადრება მეტქი, მოდი მამჩემს ჩემი თავი ცოლად სთხოვე და შემდეგ როგორც თქვენი ნება იუას ისე ჰქმენ მეტქი.

მან მითხრა: მნათობო, მამა-თქვენი მეფე არის და დიდებული ფაღვეანი, მე ის ნებით შენს თავს არ მომცემსო, მოდი შენ დამმოხილდი და რომელიც შენი საწადელია იმის აღმსრულებელი ვიქნებიო. რა ესე მოვისმინე, შევიტეე რომ იმას არც ძალით და არც ნებით არა გაეწეობოდა, მოვახსენე და შევეხვეწე, ჯინისტინის ხელმწიფევე, შემობრალე მეტქი და შეიღის დღის ჰემანი მომეც და შემდეგმად შენი ნება ასრულდეს მეტქი. რა ესე მოისმინა ჩემგან, იმანც ნება დამართო; შემდეგ მეჯლისი ბძანა, მეჯლისის შემდეგ საღამოზე შემილოცა და გავიდა, მე მაშინვე უცნობო შევიქმენ და დავეცი, არ ვიცი რამდენი ხანი ვიყავ უცნობოთ, რა თვალთ გავახილე იგივე ტახტი ვნასე და მითხრა: ადგე ვილხინოთო, რა ღვინსა და სმას შევიდა, ერთი ბასრი ხანჯალი მქონდა, ასეთი დავეცი გულში რომ ერთი მოკავალი გულში გავაფლე, იმ წეუელმა ერთი ამოიკუნეს და პირქვე დაეცა, რა იგი წეუელი წაიქცა ადარც ის ტახტი გამოჩნდა და თვითონაც ერთს შავს ქვასავით ეგდო, იგი ბადიც განქარდა და ერთს ვერანას ალაგს საშუალ ერთი კოშკი იდგა იმ კოშკის პირდაპირ, ერთ ქვასად რამდენიმე ფაღასი ეივისა იმ ქვის ძირს მცირე წყალი გამოდიოდა და სხვა არაფერი იყო. რა იმ წეუელს ხეუელს დავხედე საზაროდ კმა იყო, წვერ-უღვაში და წამწამი ერთმანერტში გართხმული ჰქონდა, ასეთი შავი იყო ვითა ხანგი, იმის უსაძგელსა კაცის თვალი ვერ იხილავდა, იგი წეუელი მწარეთ კვინსკდა ახლოს მიველ და რამდენიმე წიხლი ჩავახილე თავში, რა თვალი აახილს და მიხილს მითხრა, აი შე თმა ასაკვეცო, ეს რა საქმე მიყავ? ხომ სიცრუვით მამატეე და ასე უეცრად მომკალა, მე უთხარ, შე წეულო ჯერ ხომ არ მომკვდარხარ რომ მუყედრი, შემდეგ იმ ჯადოს თავის სახელი ვკითხე, მან მითხრა: ტეი, შე თმა ასაკვეცო შენ ხომ ეს საქმე მიყავ, აბა ნახავ ესლ რა საქმე მოვა შენს თავს: მე მრავალი შეგირდნი მიყვანან, რა მოვლენ და მკვდარსა მნახვენ, შენ მრავალ სატანჯელს მოგაუენებენო. თუ გინდა ჩემი სახელი კაცო, მე სახელად ჯაბილ-ჯადო მქვინაო, მრავალი ხელმწიფენი და ფაღვეანნი ჩემის ხელიდამ შეძრწუნებულან და შენი ხელმწიფეთ ხელმწიფე მამაც კი შემიდრწუნებია მრავ-

ვალჯერ, იმას ერთი ვეზირი ჰყვანდა, სახელად სამუ ჰაქიმთ, ეწოდებოდა, იმ სახელ გაწყვეტილმა ახის ჯადოს რაები უყო, ჯადოსანნი ფაქივანნი სულ გაწყვეტიტა, მე იმათის სისხლის ასადებათ მოველ და შენ მოგიტაცე, ჩემი წადილი ესე იყო, რამდენსამე დღეს უნდა შენთან შექტეულყოფიყ, შემდგომად უნდა მიმეყვანე და მამიშენის წინ უნდა მომეკალო: მაგრამ ვაჰ, რაჟენა ახლა, შენმა ენამ ესე მაცდინა და მომკლა. ესე სთქვა და მრავალს ლანძღვას მოჰყვა, მაშინ მე მსწრაფად ხანჯლით თავი წარვკვეთე და შიშით იმ ადგილიდამ გამოველ და ერთს ზღვის ნაპირს მიველ, შეიდი დღე და ღამე მშვიერმა და მწყურვალემ ვიარე, და თურმე ამ სასახლის პირის-პირ გულს შემომეროდა და ახლა ეს წყეული ზანგი რამდენიმე ზანგით თურმე ნადირობს და ზედ მომადგა, რა ვენახე, დიდის სიფარულთით გამარშოებოდა, წყალი დაესხა და ჩემი თავი მოვებრუნებინე, რა თვალი ავახილე ვნახე რომ ერთი დასტა ზანგი თავს მადგა, მეტის შიშშილით სიტყვის თქმა აღარ შემეძლო, ხელით პური და წყალი ვანიშნე, ცოტა პური და ხმელი თევზი მომიტანეს, ვჭამე და მოვსულეიერდი, შემდეგ ამ წყეულმა ბრძანა და ამ სასახლეში მომიყვანეს. ამ წყეულს თურმე თავის საკადრისი ბებერი ჯადო ჰყოლოდა, სახელად აჯღენ-მარდუხორმს ეძახდა; ის თურმე ავთ კამბარეო და აღამიანის ხორცს თურმე საჭმელად თხოულობდა, მე რომ დამინახა, უბრძანა, ეგ დაკალითო და შემიწვითო, რამდენიმე კაცის მჭამელნი მომცვივნენ დასაკლავად, რა რომ ამან ისე იხილა, წამართო იმათ ხელიდამ, მიმიყვანა და ტახტზე დამსვა, შემდეგ ავადმეოფს ამხავი მიუტანეს არ დაგვანებო. მეტის მწუხარებით იმ ჯადოს სული კასცვიდა. შემდეგ ამან ერთს დღეს თავის საწოლს მიმიწვია და ენება რომ ჩემთან ეჭორწინა, მე საწყალობელი მიველ მუხლს მოვეხვიე და ორმოცის დღის პაემანი ვთხოვე, მე რომ შეწუხებული მიხილა იმანაც ნება დამართო; რამდენსამე დღის უკან, ამათ ერთი მტერი მოუხდათ, სახე მაიმუნს უგვანდათ და კბილები ღომის ჩანკს, სამოცის მწერთის მჭანებელნი იყვნენ, მამაღთა თავი ორი ჰქონდათ და დედაღთა ერთი, იმოდენათ მრავალნი იყვნენ რომ ზღვასავით ღელავდნენ, ამ მხედთ ორ-ორი ფრთა ჰქონდათ, ეს ზანგები გაეკებნენ და საკვირველი ომი კარდაიხადეს, ეს ზანგნი რაკორც ხმელზე, ისე ზღვაზე დარბოდნენ. ამ ციხეში ორმოცჯერ ასი ათასი ზანგი იყო, გავიდნენ და სულ იმათგან ამოსწედნენ და ორმოც ათასი ძლივს გადაჩნა. შემდეგ ისინი ამ ციხეში გამაგრდნენ, ისინიც გარს შემოერტყნენ და დიდს მწუხარებაში ჰყვანდათ, დღეს ერთს თამაშად გამოველ, რა მიხილეს მოვიდნენ და არაბულის ენით სალაში მო-

მტეს და მითხრეს: ჭეი, ქვეყნის მნათობო, შენ ამ წყუელის ხელში სა-
იდგან ჩამოვარდნილხარო? მე ჩემი თავის გარდასვადი უამბე იმთაც მი-
თხრეს: მნათობო ნუ შესწუხდებიო, შეწევნითა ღვთისათა რომ მოგბრუნ-
დებით ამათ ხელიდამ გაგათავისუფლებთო.

რა ესეთი იმედი მამტეს, მე ვკითხე, ძმანო თქვენ რომ არაბის
ენას ლაზარაკობთ რომელი ღმერთი გწამთ მუთქი? მათ მითხრეს ჩვენ
ადამის სარწმუნოებაზედ ვდგევართო და ამიტომ ჩვენ ადამიანი ძლიერ
გვიუფარსო. მაგრამ ერთი მტერი გვეყავს ღვთის ბრძანებით იქ მივალთ,
იმ ჩვენ მტრებს სახელად მანისარი ჭქვიანო, რომელთა თავი თევზისანი
აქვთო: ესე სთქვენს და აიყარნენ წასასვლელად. იმათი წასვლა, დღეს
თორმეტი დღეა რაც ზანგები დახრცეს, ცეცხლი შეუკიდეს და დაწვეს,
იმათ კი თავიანთ მკვდრები თან წაიღეს.

ქალმა რომ დასრულა გარდანქეშანი წინაშე ლაზარაკი, შემდეგ გარ-
დანქეშანმა ჭკითხა: ჭეი, მნათობო, ეს ზანგნი ზღვასა და ხმელსა ვი-
თარ იბრძვიანო? ქალმა მიუგო ფაღვეანო, აქ ერთი მდინარეა სახელად
ენებრა ჭქვიან, ამ მდინარიდამ წელიწადში ერთი მხეცი გამოვა, სიდიდით
სწიფოს ოდენა იქნება; იგი მხეცი რასაც ცხოველს ნახავს, მოუკლავს არ
გაუშვებს, იმის მოკლულის ქონს რომ ფეხზე მოისმენ, ამ ქონის შე-
მწეობით ვითარ ხმელეთზედ ისე ზღვაში დადიან და ისე მოქმედებენ.

რა გარდანქეშანმა ესე მოისმინა, დიდს განკვირვებას მიეცა და ქალს
მადლობა მოახსენა. შემდეგ ქალმა უთხრა: ფაღვეანო, ნუ დამიმაკლავ და
სწორედ მიბრძანე, თქვენ ზანგს არა გვეხართ, თქვენ გეტუფობათ რომ
უცხო ფაღვეანი ბძანდებით და თეთრი ტომისას გვეხართ, გთხოვთ მო-
წყალება მოიღოთ და თქვენი ვინაობა მაცნობოთ, თქვენ ამ ადგილს ვი-
თარ ჩამოვარდით?

გარდანქეშანმა უპასუხა: შაბაშ შენსა ეგრეთსა ცნობას, კარგად შე-
მატეე, მე ზანგი არა ვარ, მე დიდის ამდლებულის ხელმწიფის უმან-
გის აიარი გარდანქეშანი გახლავარ, ჩემმა ხელმწიფემ ხელმწიფობა უარა-
მანს უბოძა და თვით დეშტი-უიფხაღში მამასთან მიბრძანდება, ზღვა
ადელდა, ხომალდები დაგვეფანტა და ხელმწიფე თავის ხომალდებით აქ
არის ჩამომხდარი, მე ხელმწიფემ მიბრძანა ამ ციხის ზანგების ამბვის
ცნობა; ბევრი ვიარე მაგრამ ვერა სულდგმულს ვერ შევხვდი, შემდეგ ეს
ფანჯარა დავინახე, ქამანდი ვეროფლე ამ ფანჯარას და აქ ამოვედი. რა
იმ ქალმა ესე მოისმინა დიდ მხიარულებას მიეცა, შემდეგ მოახსენა: ჭეი,
გაჭირვებულთა მხსნელო ფაღვეანო, მე თქვენს მხევალს, ხელმწიფის
უმანგის ამბავი მსმენია, მამიჩემის მეუთე-მეუფისაგან. ამ ჟამად უმან-

ვისთანა ხელმწიფე აღარსად არის, აწ მეც ვმადლობ. ჩემ ღმერთს რომ შეეცდოთ თქვენის ბედნიერების ზირის ხილვა შედირსა. გარდანქმანმა წყალი მოიღო ზირი დაიბანა და ზანგის სხისსკან მოიშალა, ამ ქალმა რომ გარდანქმანის მშვენიერება იხილა დიდათ გაჭკვირდა და ქება შესხსა, გარდანქმანმა ჭითხა: ჭეი, ქვეყნის მნათობო! ამ ციხეში დაშთომილნი ზანგნი სად არიან? თქვენ გეცოდინებთ, ქალმა მოახსენა: თაღევანო, ამათი წესი ეს არის, წელიწადში ორმოც დღეს და ღამეს დაიძინებენ, ისე რომ ვერაფერს გამოადვილებს, დღეს ათერთმეტი დღეა რაც სძინავთ. თაღევანო ჩემი შიში ამ წყუელისკან იყო თორემ სხვათაგან ოქრო არა მაქვსრა, გარდანქმანი და გულმიაბანო იმ ციხილამ გამოვიდნენ და სახერობილის კართან მივიდნენ, კარი გაღეს და ხუთასი აღამიანის ტომში ტუსადი თეთრა ხალხი გაანთავისუფლეს, გულმიაბანომ უგელას ხელმები მისცა ხელში და ზანგების გაწვევითა უბრძანა, მაშინვე მიჰყვეს ხელი და სულ გაწვევით, ისე რომ ერთი ცოცხალი აღარ გაუშვეს. რა ესე იხილეს იმ ქალის სიმხნე, ქება შესხეს, შემდეგ მოვიდნენ ციხის კარი გაღეს და გამოვიდნენ, გულმიაბანომ უთხრა გარდანქმანს, ქვეყანაზედ გამოჩენილთა თაღევანო, რა იქნება რომ ხელმწიფეს მოახსენო მობრძანდეს და ციხის თამაშა ნახოს?

გარდანქმანმა თავი დაუკრა—გამოეთხარა და დილის ნიავსავით მსწრაფლ ხელმწიფესთან მივიდა. რა გულმიაბანომ ესეთი სისწრაფე იხილა გარდანქმანისა, დიდ გაცხობით უჭვრეტდა, შემდეგ იმ ზერობილთაგან—ქალმა რამდენიმე კაცი აარჩია და ხელმწიფის დახვედრის თადარიგში შევიდნენ.

იმ ჟამად ხელმწიფე უშანგი გარდანქმანის დაგვიანებისთვის ძლიერ სწუხდა, შემდეგ ბრძანა: თაღევანო, გარდანქმანი აღარ მოვიდაო, ვაი თუ ზანგების ხელით აუტულა რამე? ამიტომ შეიჭირვებდა და ამ ჟამად გარდანქმანიც ხელმწიფესთან შევიდა, მძიმეთ თავი დაუკრა და ქება შესხსა და თავის თავის გარდასავალი ყოველი მოახსენა. რა ხელმწიფემ და დიდებულთა ესე ამბავი შეიტყვეს, დიდს მზარრულებას მიეცნენ, ხელმწიფემ მაშინვე აურა ბრძანა და ციხისაკენ წაბრძანდა. რა ხელმწიფე თავის დიდებულებით მიბრძანდა, დიდათ გაჭკვირდნენ, იმ ციხის ისეთის სიტურთისათვის, რა სრულად გაშინჯეს შემდეგ იმ ქალის დამზადებულნი ხუთასნი კაცი წინ მიეგებნენ, იმათ შუა ბრწყინვალე ქალიც იყო, მთავარზე უმჯობესი. რა მან ქალმა ხელმწიფე დაინახა, ძლიერ მოეწონა მისი მამობრიული მშვიდი სახე და გაწეობილობა, მსწრაფლ წინ მიეგება და ზირ-მიწა გაერთებით თავიანი სცა და ქება შესხსა, შემდეგ

ხელმწიფე ციხეში შეიწვია, ხელმწიფემ მამობრიულად მოაკითხა, სეზე აზიდა და უბრძანა: ამ წუგულთ ზანგების ამბავი ვით მოხდა? ქალმა მოწიწებით მოახსენა: შვიდის იულიმის მზერობელი ადღეგრძელა ღმერთმა, ასე ნიდაგ ღმერთმა თქვენი მტერი დაამხარ, ვითა ესენი დაემხნენ, და იქაური ამბავი უოველივე მოახსენა. რა ხელმწიფეს ზანგების გაწყვეტა მოხსენდა, მხიარულებს მიეცა მაგრამ ბრძანა რომ მძინარე არ უნდა დაეკონცნათ, მძინარის დახრცვა ცოდვას ნიშნავს.

ქალმა მოახსენა: დიდებულთ ხელმწიფე, ისინი უოველთვის თეთრი ხალხის დიდი მტერნი იუვნენ და ჩვენი ხორცის მჭამელები და დღე-განდღამდის იცით რამდენი სიავკაცე უქმნიათ? თქვენ რათ სწუხხართ ამათის დახრცისათვის? შემდეგ ხელმწიფემ ბრძანა: წასულ საქმეს არაფერი გაეწეობარა. ხელმწიფემ იგი ციხე სრულიად გასინჯა და დიდათ გაჰკვირდა, იმ ციხის მღებიარობაზე. რა შიგნით შებრძანდა და სასახლე იხილა, რომელიც სრულიად ოქროთი იყო ნაშენი. ხელმწიფემ გამკეთებელს ქება შესხა და დიდებულთ მოახსენა: ეტობა აქ ოქროს ზატევი არა ჰქონია რომ სრულიად ოქროთი უშენებიათ. იმ შინჯვაზედ კარისაკენ მიიხედა და რამდენიმე სტრიქონი დაწერილი იხილა, თუ ვისაგან იყო აშენებული, შემდეგ შარიბ-შაჰას ხელმწიფემ სთხვა რომ წაეკითხნა: შარიბ-შაჰამ ხელმწიფის ბრძანება მსწრაფლ აღასრულა, იგი წინ წარსდგა და იგი წერილი წააკითხა და ლექსად ესე ეწერა:

ეიჯან სეიპედან ფაღჰე განუ სარგურას,
ჩუნ გეთურ ბანი ბუნდა ოფხუდის ბინიას.

„სეი, თქვენ ქვეყანაზე მავანთ ფაღეგანთა თუ ღმერთმა თქვენი აქ მოსვლა იხეობს და მოხვიდეთ, ამით შიგნით რომ მეც ერთი დიდებულნი კაცი ვიყავ, სახელად ქურმუხ-შაჰა მეწოდებოდა, მრავალნი ხელმწიფენი მახლდნენ და ჩემის წყალობით რჩებოდნენ, რამდენიმე ციხე ქალაქი ავაშენე, ერთ დღეს ერთმა წუგულმა დეგმა მიდალატა, ერთი დიდებულნი სარდალი და ფაღეგანი მომტაცა, გამოუდგე შვიდი წელი ვსდეთ და ვერას ალაგას მისი უოფა ვერ შევიტეე, ერთ დღეს ამ ჭალაკში და ამ ციხეში მოვედი და აქა ვპოვე, რადესაც იმ წუგულმა ჩემი მოსვლა იგრძნო, შვიდი დღე და დამე მეობა, შეწევნითა ღმერთისათა იგი წუგული მოგვად და ის ჩემი სარდალი ციხეში ზურობილად ვპოვე. ვნახე რომ ეს ჭალაკი იმ წუგულს აეშენებინა, მე ოცდა ათი გამოჩენილი ფაღეგანი და სამა ათასი კაცი დავაყენე და შვიდი დიდი ქალაქიც ავაშენე და რამდენიმე ციხე, ამ ჭალაკში შეებასა და სიხარულს ვიყავი, ჩემი ცხოვრება ესე გავატარე, მე ამ ცხოვრებისა და დიდების ზატრობმა და-

ვტოვე უველა აქ და ცარიელი წაველ იმ სოფელს. აქ მომსულელნო ხელ-
მწითენო და თალევენო! არ გაამადეთ, იცოდეთ რომ ბოლო სიკვდი-
ლოა“. ესე დასრულდა წერილი.

რს უშანგ-ხელმწიფემ მოისმინა, უველა ეს წერილი, ქურმუხ-ხელ-
მწითეს შენდობა უბრძანა, შემდეგ უშანგმა მოახსენა: შარობ-შაჭას ამ წე-
რილის სმენით შწუხარება მძმეცა, იმიტომ რომ ვერც ის ვცნით თუ
ვისი აგებულა და ან რამდენი წლისაო, შემდეგ ხელმწიფე შიგნით შე-
ბრძანდა, ნახა რომ იმ ციხის საშუალოსკ ერთი სასახლე იყო, რა იმ
სასახლის კართან მივიდა ნახა რომ იმ სასახლის ზეით, რამდენიმე ტა-
უზი იყო წერილი. შარობ-შაჭა ბევრს ეცადა იმ წერილის წაკითხვას მაგ-
რამ ვერ წაკითხა რა ენაზე იყო დაწერილი; რა ვერ გაიგეს, ხელ-
მწიფე დიდათ შეწუხდა, მარჯვნივ და მარცხნივ ჩხრეკა დაწყო, შემდეგ
რამდენიმე სტრიქონი იხილა კვალად დაწერილი, წინ წარსდგა შარობ-შა-
ჭა და წაკითხა: ესე ეწერა: ჭეი, შენ ქვეყანაზედ გამოჩენილო საზღა-
ლო! მე ქურმუხ-შაჭა, მოველ და ამ ალაგას შენობა ჩამოგატე. ამ ცი-
ხისა და გალანის გამოკეთებული ვერ შევიტეე ვინ იყო, რამდენიმე წე-
ლი მოვიცადა ამ საქმისთვის, მაგრამ კვალად ვერ ვსცან ეგ წერილი
თუ რა ენაზეა დაწერილი და ვერც მაგის წამკითხავი ვხევე. მე თვითონ
სამოცდა თორმეტი ენა ვიცოდი, მაგრამ მაგ წერილისა ვერა ვსცანა.
ამაზე ვმწუხარებდი. შემდეგ ერთ დამეს მრავალი ვილოცე და დმერთს
შეესტირე ჩემის ცოდვილის ჰირით, იმის ცნობისთვის, ვნახე რომ
ათხი ანგულაზის სახენი ჩემს ხალგათხანაში შემოვიდნენ, სალაში მო-
მცეს და მითხრეს: ქურმუხ-შაჭავ! ადე მადლა ავიდეთ და იმ წერილის
ამბავს გიამბობთ, შემდეგ იმათ ავეუვ, მივედით იმ წერილთან და ათ-
ხისაგან ერთი წინ წარსდგა და იგი წერილი წაკითხა, მომიბრუნდა და
მითხრა: ქურმუხ, ესე სწერია, „მეც ერთი ამადლებული ხელმწიფე ვიყავ,
სახელად სულეიმან-ხარიფი მერქვა“. ქვეყანაზედ სამასი წელი ვიცოცხლე
და ხელმწიფობით, სამოცდა ათჯერ ჩემ წინააღმდეგს ხმალი ვეც დავი-
მორჩილე. შემდეგ ჩემის დიდებულებით და თალევენებით ამ კუნძულს
მოვედი, ვნახე აქ ერთი მდინარე წყალი სდიოდა, სამ წელში ერთხელ
ადიდდებოდა და რასაც ის წყალი მოხვდებოდა კლდესა, ქვასა თუ მიწა-
სა, აქროთ გადაიქცეოდა. მაშინ უბრძანე ჩემს ჯარს, ეს ციხე სასახლე
ხალსის აქროთი გაეკეთებინათ, მასვე წამს ამისრულეს, რა დავასრულე,
ას სამოცდა ათი წელი აქ დავყავ და ამის ჭავა კარგათ მომიხდა. მხო-
ლოდ მე ამასა კთხოვთ რომ ვინც ჩემს შემდეგ ამ ციხე ქალაქს დაე-
შატრონოთ, ნუ გაამადებთ თორემ თქვენც ჩემსაებრ გაუხარელი წახვალთ.

რ იგი თარღი იანგარიშეს, შერდას სამოცდა ექვსი წელი გასულ-
იყო. შარიბ-შაჰამ უშანგს ესე მოახსენა და უშანგიც თავის ცოდვის მი-
ტყუებას ღმერთს ევედრებოდა, მაშინ სცნა რომ ეს სოფელი არავის შე-
რჩინია, ამისთვის ღმერთს მაღლობდა. შემდეგ გულმიაბანო წარუძღვა
ხელმწიფეს და სასახლეში შეიფანა. რაც შეეძლო ხელმწიფეს კარგა და-
ხვდა. უშანგ-შაჰამ უბრძანა: ქვეყნის მნათობო გულმიაბანო, შენი წადი-
ლი რა არის? თუ ისურვებ შენს სახლში გაგკზავნი და თუ ინებებთ ამ
ჩემ ფაღვანებში რომელსაც მოიწონებთ იმას შეგერთავ, რომელიც შენი
სურვილი იყოს ის გამომიცხადე.

ქალმა მოახსენა: ხელმწიფეო, აქედამ ჩემს ქვეყანაზე წლის სავა-
ლია, ვიძიებო რომ კვალად განსაცდელი არ წამეკიდოს და არც შემე-
ძლიან მე თქვენს სამსახურს მოვშორდე: მხოლოდ ამას გემუდარები, რა-
მელიც თქვენი ნება იყოს ის აღსრულდეს, ვისაც ტენებოს იმას მიმეცი-
თო. მაშინ წინ წარმოსდგა ზოაჩი, თავი დაუგრა, თავუანი სცა და იგი
ქალი სთხოვა, უშანგ-შაჰამ მძიმე ხალათი უბრძანა და ქალიც იმას მისცა.
იმ დღესვე ხელმწიფემ უცხო ქორწილი გადაიხადა, შემდეგ რამდენიმე
ჯამი იქ დაჰყო და რომელიც ხომალდი იყვენ დათანტულები ეგულა იმ
ჭალაკში შემოიკრიბნენ. რა ხელმწიფემ ჯარის სანი ნახა; ოცდა ათი
ხომალდი ჯარით სავსე დაჰკვებოდა, ზოგი დაღუპულიყო, ზოგიც არა
სწინდა, ამაზე ხელმწიფე დიდათ შესწუხდა და იგლოვდა, შემდეგ ნახა
რომ ხოსროვშირის ხომალდიც აკლია თავის ნაქები ფაღვანებით, ამაზე
უფრო გაშოთოდა და ეოველს მხარეს ხომალდები დათანტა საძებნელად
რა შარიბ-შაჰამ ხელმწიფე ესე იხილა, თვითონაც მწუხარებოდა. ხელ-
მწიფემ ხოსროვშირის მიზეზით იმ ზამთარ იქ დადგომა ბრძანა, იმ-
დენა ღაშქარი იქ დადგენ და ეოველ ქვეყნებში დაითანტენ. შემდეგ
სადაც ზანგი იხელთეს ცოცხალი არ გაუშვეს.

აქ საშინელი ბრძოლა მანისრებისა და ხოსროვშირისა.

იმ ჟამად მოგზაურობის დროს რადეს ზღვა აუღელდათ და ხო-
მალდები დათანტა, ხოსროვშირის ხომალდი და ხუთი სხვა ხომალდი ამ
ჯარს მოაშორა და ერთ მხარეს ზღვაში დაკარგა, სამი დღის შემდეგ,
ზღვა ღუგვისიგან დასცხრა, ნახეს რომ ხომალდი საშუალ ზღვისა მი-
ვიადა, ასე რომ არსათ ხმელი არა სწინდა; შვიდ დღე-ღამეს ქარის შემ-
წილობით იარეს, მერვეს დღეს, ერთი კუნძული გამოჩნდა. ხოსროვშირ-
მა ბრძანა: ამ კუნძულისაკენ გაემგზავრეთ, მერხომალდები დიდის ტი-

რძლით შეეხვეწნენ და უთხრეს: ხელმწიფის შვილო, ეს ისეთი საშიში ალბათაა რომ აქ მოსული ხომალდი მშვიდობით ვეღარ დაბრუნდებათ, ამისთვის რომ აქ იმ გვარად მხედია, თევზის თავის მჭობებულნი, რომელთაც მანისრები ეწოდებათ და ამ ადგილს სცხვარობენ; სხვა ფაღუფანთაც ურჩიეს ხოსროვშირს რომ მოვერიდოთ ამ ალბათსა, ხოსროვშირი განუჩინსდა მათ და უთხრა: ისეთი რანი უნდა იყვნენ რომ იმათგან შეეშინდეთ? ვინც ამ ჩვენ საქმეს გაიგებს, რას იტყვიან? ამას იტყვიან, ხოსროვშირი მანისრებისაგან შეშინდა და გამოექცა, აქ სიკვდილი მიჩვენია ამ სიტუვის გაგებას; კვლად უბრძანა ხომალდებს რომ იქით წასულიყვნენ, მეხომალდეთ გლგოვა-ტირლით გაემართნენ კუნძულის მხრავ, მიუახლოვდნენ კუნძულს და გარდახდნენ, ნახეს იგი კუნძული მწირი ადგილი იყო, არც წყალი იყო არც ბაღანი იპოებოდა. ვინც ქალაქი იგი ნახეს დიდათ შეუთქრიახდნენ, გარდმოხდნენ და ხოსროვშირს კარავი დაუდგეს, ხუთასი ათასი კაცი ახლდა, ვეგლანი ჩამოხდნენ, მათში სახელოვანნი ფაღუფანნი მრავალნი ერივნენ, ხოსროვშირმა ჯარი სულ შეშინებულა და უთხრა: წადით ნახეთ აქ სადმე შენობა არის თუ არა და ამბავი მაცნობეთ. მაშინვე ამ ფაღუფანებიდამ მერან-ასფარი ვაფუზ-ფაღუფანი, ხორასნუჯი თამუზ და სხვანი ექვსასნი ფაღუფანნი წარვიდნენ და ხოსროვშირი მათი მაყურებელი იყო. რამდენიმე ჟამი გამოვიდა რომ იმათი ვერა სცნარა, შემდეგ თავის ლაღას თეირდაშტს უბრძანა რომ ოციოდ ფაღუფანი და რამდენიმე დასტა კაცი წაეყვანა და იმათი ამბავი შეეტყო. ესენი გაისტუმრა, რა მცირე ალბათი გაიარეს, ერთი ქალაქი და ერთი ციხე იხილეს, ისეთი მალაღი იყო ციხე რომ ცადა წვეულობო, იმ ქალაქს იქით იხილეს ერთი უზარმაზარე დიდი მინდორი, იმ მინდორს უყრება დაუწეეს, ნახეს ერთს მხრისაკენ დიდი მტვერი ამდგარიყო, ისე რომ ჭარს ესწორებოდა და იმ მტვერიდამ მრავალი ხმები გამოისმოდა, კვილისა და ძახილისა, თეირდაშტმა რომ თვალი დააკვირვა იცნა რომ თავიანთი გავზავნილნი ფაღუფანნი იყვნენ, მაგრამ ერთის მხრიდამ საკვირველნი მტვერი ებრძვიან, ვითარცა ზღვის ქვიშა მათი სიმრავლე არ შეიგდებოდა, რა ახლოს მოვიდნენ, ნახეს იგი მებრძოლნი სრულიად თევზის თავიანთი იყვნენ და ტანი კი კაცს უგვანდათ და ნისკარტი ფრინველისა ჭჭობდათ და ერთ მხარეს ორ-ორი ფრთა ჭჭობდათ, ხან ჭარში ფრინავდნენ და ხან ზღვაში სცურავდნენ, თითო ფაღუფანს რამდენიმე ასი ესვია, ნახეს რომ რამდენიმე ფაღუფანი დაუხოციათ იმათ და სტამენ აგრეთვე სისხლსა სმიდნენ, ვითარცა წყალსა. იმ ექვსას ფაღუფანიდამ ოთხასი მოუკლავთ და შეუჭამათ, ეს დანარჩენნიც შეასვე შეუყრი-



ათ და ასე შედგრად იბრძვიან რომელიც კაცის გონება გაჭკვირდებოდა, ესენიც ისე დადლილან რამ სიკვდილად მიწურულან.

რა თეირდემუტიმ ესე იხილა — სახელი ღვთისა ახსენა და ნარა გასწიეს და შეუტოეს, ისე შედგრად დაერივნენ რამ ის ზღვის ოდენი ლაშქარი მისრებისა ორად გაჭხეთქეს, თეირდემუტმა რომელი ფაღვეანიც ჩაიგდო დაკოდილი შეუხვია, მაგრამ იმოდენა მისრები მოვიდნენ რომელსაც კიცხვი არ შეეკლებოდა, დაიწიეს ბრძოლა, ასე მოისმინეთ ერთი რამ მოკვდებოდა ათასი მოდიოდა. ამათ ფაღველებისა და ჯარისკან მრავალი დახოცეს, თეირდემუტი ცხენიდან გადმოაგდეს და თავიანთ უფროსთან ხელ-ფეხს შეკრული მიიყვანეს. ამ გაჭირვებაში რამ ჩაგვიდნენ მაშინ აცნობეს ხოსროვშირს, ხოსროვშირმა რამ თავისი ლაღის შეხერობა ისმინა ძლიერ განრისხდა და ჯარს უბძანა, დაემზადნით ორმოცი ფაღვეანი და ათას ხუთასი ჯარის კაცი, მსწრაფელ მოემზადნენ, შესხდნენ ცხენებზე და ხოსროვშირთან მოვიდნენ სავა. ბრძოლა იყო იქ მოვიდნენ, ჩახეს რამ თავიანთ ფაღვეანნი სრულიად დათანტუფიყვნენ. მაშინ განრისხებულმა ხოსროვშირმა ასეთი ნარა გასწია რამ მრავალნი მისარნი შიშით მოსწედნენ. შემდეგ ამ მისრებიდამ რამდენიმე ფაღვეანნი წარვიდნენ და თავიანთ ხელმწიფეუ საქსარს მოახსენეს: ჭე! ქვეყნის მშერობულად ხელმწიფეუ! გვიჩარებათ თქვენთვის რამ ერთი რაღაც სულეიერი მოვიდნენ და ჩვენ ბრძოლა დაგვიწიეს, მრავალი დავხოცეთ მაგრამ იმათი უძლიერესი არა გვინახავსრა, წყალობას გთხოვთ დასტერი გვიბოძოთ, მოვიდეთ და სრულიად მოვსრათ.

საქსარმა მიუგო, როგორი სახე აქვთო? მოახსენეს, ზირ-მრგვალნი არიანო, თვალ-წვრილნი და ფეხ-ბრტყელნი, ორ ფეხზე დადიანო და ორ-ორი ხელი აქვთ, როდესაც გაიქცევიან ხოლმე ტანს არ არხევენ ძლიერ — და წყაღვიით მიდიან, ერთი რაღაც უჭირავთ ხელში რითაც სცემენ, შუა გაჭკვეთენ ხოლმე, არ ვიციით სადაური არიან და რა ქვეყნიდამ მოსულნი. საქსარმა რამ ესე მოისმინა, მცირეს ხანს დაფიქრდა და უბძანა: ჭეი, თქვენ უმგზავსნო, ეგენი რასაც თქვენ მანიშნებთ ადამის ტომში უოფილან, იმათგან სიფრთხილუ გმართებთ, თორემ გაგაოხრებენ, ღმერთს იმათთვის ერთი ლოცვა უსწავლებია, „ისმიაზამი“, როცა იმ ლოცვას იტყვიან მაშინვე გამხრევიდებიან, იმათი უოფულოთვის მორიდება გმართებთ, ახა ერთი იმათგანი დაიჭირეთ და მომგვარეთ. მაშინვე თრგვით მოიყვანეს თეირდემუტი. რა საქსარმა თეირდემუტი ნახა, მაშინვე ფიციხელი ბრძანება გასცა რამ სრულიად გაეწვიოტათ ყველანი და არც ერთი არ დაეტოვებინათ ცოცხალი.

რ მანისრებმა თავიანთ ხელმწიფისაგან ბრძანება მიიღეს, უმკრავ-
ლესნი მიესივნენ საომრად, იმოდენა დაესივნენ რომ რიცხვი არ შეიგ-
დებოდა. რ ხოსროვშირმა იხილა იმათი სიმკრავლე, ისე შედგრაღ დაი-
წყო ბრძოლა რომ რომელსაც ლახტს დასცემდა შუა აზობდა, რომელსაც
მხარეს შეუტევდა სრულად დაჭთანტავდა, სხვა ფაქეფანნი ისე მოუძ-
ლურდნენ რომელთაც ცხენით ვეღარ შესძლეს ბრძოლა გარდახდნენ და
ჭკვიითად იბრძოლეს, ხოსროვშირიც ძლიერ დაიდალა და კვალად იწყეს
მშვილდ-ისრით ბრძოლა, მანამ ისარი ჭქანდათ ჭხოცეს, რ ისარი შე-
მოკლათ, ღონეც გამოკლათ. ზოგი ფაქეფნები ცხენითურთ დაჭამეს
იმ წყეულ მანისრებმა.

იმ უამად შირთაზა და ასიმი ოცი სხვა აიარით ხოსროვშირს ახლ-
დნენ, ამ აიართ ნახეს რომ საქმე ძლიერ გაჭირდა, რომელიც სხვათრივ
ასტატობის მეტი ამათი შუეა არ შეიძლებოდა, აიარებმა ის ასტა-
ტობა იმხარეს რთგორც თავიანთ ასტატი გარდახქეშანი ხმარობდა გა-
ჭირვების დრას. მოუხდნენ და ამ მანისრებს სუეველას ნეუთი ასხეს და
ადუღებულნი გოგირდი, შემდეგ წაუვიღეს ცეცხლი და ეს ცეცხლი ერთ-
მანერთს სწვდა და მრავალნი დაწვნენ, რომელიც გასაჭრობად მივიდო-
და იმსაც კედებოდა, ასე რომ იმათ დაწვის ცეცხლის ალი ჭყარს ეს-
წორებოდა. ეს ოცი აიარი ჯარს კარს უფლიდნენ.

რ ცეცხლისაგან ძალა დაუმართათ, რამდენიმე კაიჭენ და თავიანთ
ხელმწიფეს მოახსენეს: ხელმწიფე, ის ჯარი მცირელი-და დაგვრჩაო,
სულ დაუჭამეთო, მაგრამ ერთი რაღაც წითელი მტერი მოუშვეს და იმით
ამოკვეწვიტეს;—თუ თქვენი დიდებულება არ მოკვეშველება საქმე დი-
დად გასაჭირსა გვაქვსო. საქსარმა რომ ესე მოისმინა, დიდათ განრისხ-
და და უთხრა: წყეულნო, ავი გითხარით რომ იმათი ხელიდან სულ გა-
მხრდებით მეტეი. შემდეგ ბრძანა: რაც იმ ქალაქში მანისრები არიან,
სულ ეველა ხოსროვშირის საბრძოლველად მივიდნენო, ხოსროვშირმა
შვიდი დღე და ღამე ისე იბრძოლა რომ თავის დღეში ისე არ გასჭი-
რებოდა რთგორც მაშინ გაუჭირდა, საშინელი სისხლის ღვარები ადგა
ისე რომ მკვდრები მიჭქანდა, აიარნი დიდათ შეწვივნენ ხოსროვშირს
და უათელი უევეს, მაგრამ ზღვას კოვზით ვინ მოკლევდა. ამ ოც აიარ-
თაგან ათი მოკლეს. შირთაზა და ასიმი ასე დაიდალნენ რომ მოძრაობა
აღარა ჭქანდათ, მრავალს ალაგსაც მძიმეთ დაიკოფდნენ, ხოსროვშირსაც
ცხენი მოუკლეს და ჭკვიითათ იბრძოდა, ძლიერ რომ დაიდალა ხოსროვ-
შირი, თმილამ გამოკვინდა და ერთ ალაკ დაიჩოქა და ღვთის ვედრება იწყო.
იმ დრას, ჭყარილამ ერთი რაღაც შავი ღრუბელივით გამოჩნდა,

რომელიც იმათმა უფროდმა ქვეყანა მდიცვა, რა ხოსროვშირმა იმათი უფროდლი გაიგო, ახელა ნახა რომ იმდენი ფრინველი იყო რომელთაც ჭერი მოეცვათ, ცხენის ოდენი სიდიდე ჭქონდათ, თავები ლომებს უგვანდათ, ნისკარტი აღმასისა ჭქონდათ, რა იმ ალაგს მოატანეს, განკისხებულნი მასარებს ეცნენ და შეუტოეს. რა მასრებმა იმათი ხმა გაიგონეს, თითო-თითოთ გარდაიხვეწნენ, მიჭყვინენ ეს ფრინველნი ასე გახადეს რომ სულ დედა აუტირეს, იმ არე-მარეში აღარც ერთი მასარი არ გაუშვეს, ზოგნი ცხენისაკენ გაიქცნენ, ზოგნი სრულიად დაიკარგნენ, იმ ცხენშიც მიუხტნენ, ისე საქმე დამართეს რომ სულ ამოყლიტეს. რა ხოსროვშირმა ესე ნახა, დვთის განგება აღიდა, რომელნიც თაღუვანნიც დაჭრილიყვნენ, წყლული შეუხვიეს და იმ ცხენში შევიდნენ, ხოსროვშირი რომ ცხენის სიხლადეს მივიდა დიდს საგვრირეულებას მიეცა, ასეთი რამ იყო რომ კაცის თვალი უკეთეს ვერას ნახავდა რაც ქვეყანაზე სახე იყო სულ იმის გალავანზე იყო დახატული. იმ ცხენ-ქალაქს შვილი კარი ჭქონდა, უოკელიუ ღია იყო, მასრები არც ერთი არა სჩანდა; შემდეგ შევიდნენ და დაიარეს, მრავალი ხაზინა ჭპოვეს, ხოსროვშირი სიარულით ერთ სულუნის ჰიჩს მიადგა, რაც იმ არე-მარეში მასრები გადაჩრდილიყვნენ სულ იქ დამალულიყვნენ. რა ხოსროვშირმა ესენი ნახა ადრთა მათი დაწვა უბძანა, დაასხეს ნავთი და სრულიად დაწვეს. იქიდან გამობრუნდა და სასახლეში შევიდა, იქ თეირდემტი იხილა და სხვა რამდენიმე თაღუვანნი ჰერობილნი, ესენი ეველა გაანთავისუფლა, ამ განთავისუფლებულებმა რაც შეეძლოთ ხაზინა იტვირთეს და წამოიღეს, ჩასხდნენ ხომალდებში და გაემართნენ, მუნ მყოფთა თაღუვანთა ამ მხეცების მოსვრისათვის და თავიანთ მშვიდობით მორჩენისათვის ღმერთს მადლობა შესწირეს, შემდეგ ოცდა რვა დღე იარეს და ოკანეს ზღვაში შევიდნენ, ხოსროვშირმა მინარასვით რაღაც დაინახა, მენავენი იხმო და იმათაც დაინახვა, რა მენავეთ იგი დაინახეს, მწუნარების ხმა აღმოუტყვეს და მოახსენეს: ხელმწიფის შვილო, ვაი ჩვენს უბედურებას რომ ჩუენი დღე დასრულებულა და აღარაფერი წამალი აღარა გვაქვსარაო, ის მინარა რომ სჩანს, ის მორევაია, რომელშიაც უოკელი ზღვანი იქ იურეზიან, იმ მორევაში მისულის კაცის შველა აღარ იქნებაო, ესე სთქვეს და ეცადნენ რომ ხომალდნი როგორმე სხვა მხრისკენ დაებრუნებინათ, მაგრამ როგორც ისარი შვილდთაგან ტყორცილი ისე გააქანა მორევისაკენ ხომალდნი, ხოსროვშირმა შეხედა ნახა რომ ის წყალი ერთი აღაჯის ტოლა მრგვლად ბრუნავდა და საშუალ მიწაზედ ჩადიოდა, იმისი ხუილის ხმა სამის დღის სავალს გაიგონებდა, იმ წყლის ჰიჩზედ ერთი

კლდე იყო და იმ კლდეზედ ერთი მინარე ქვითკირით იყო შექმნილი, ის იმისთვის იყო რომ შორით მენავენი დარიდებოდნენ, მაგრამ ესენი ცოდვამ და უბედურებამ მოიყვანა აქ. ხოსროვირმა ნახა რომ მრავალი ცარიელი დაშლილი ხომალდები ტრიალებდა, რა ხოსროვირმა და ფალავანთა ესე განიცადეს, მენავეთ უთხრეს: გვიშველეთ რამე, ეგები აქედამ გაწნათვის უფელდეთო, მენავეთ მოახსენეს: ფალავანო, ჩვენი აქედამ გამოხსნა ალარ შეიძლება, თუ არ დვთის შეწევნით. ვეკლანი ღმერთს ვკედრებით, ესე თქვეს და დვთის მიმართ ღოცვა იწიეს.

ამათ ხომალდები ორმოცი დღე იქ ტრიალებდნენ, შიგ მსხდომნი სიკვდილად მიიწურებენ. ხოსროვირი დიდის მწუხარებით ძიხს დაემხო და ღმერთს ვკედრებოდა, ჯერ ღოცვა არ დაესრულებინა რომ, იმ მარკვიდამ ერთი მხეცი გამოვიდა, რა ის მხეცი დაინახეს, სიცოცხლის იმედი გადაიწვევიტეს, მაგრამ ხოსროვირი ღმერთს მინდობიყო და უშიშრად უუერებდა, იმ მხეცს თავი ვეშაშს უკავდა, ტანი კი თევზს; და მრავალი ფრთები ჰქონდა, გამოჩენის უმაღ ისეთი დაიდრიალს რომ იმ ხმის შიშისაგან ნიანგნი და თევზნი ხმელეთს ივლტოდნენ და ეს მხეცი ჰყლავდა. იმ დღეს და ღამეს ზღვას ნადირობდა, შემდეგ ერთი შეისუნთქა და რაც იქ ცარიელი თუ სავსე ხომალდები იყო სულ ჩაყლავა, ხოსროვირისა და ერთ სხვა ხომალდს კარდა, დვთის მოწყვლებამ ის ორი ხომალდი დაიფარა, მეტი ტირილისაგან ხოსროვირი და სხვანი უცნობო შექმნილიყვნენ, რა ცნობას მოვიდნენ ნახეს რომ რაც ცარიელი თუ სავსე ხომალდები იყო სულ ჩაყლავა და წასულიყო.

შვიდი დღის შემდეგ კვლად გამოვიდა და ღამობდა ამ ორ ხომალდის ჩაყლავასაც, რა ხოსროვირმა და სხვათა, მხეცი თავიანთზედ მიმავალი იხილეს, დვთის ვედრება გაახშირეს მხურვალე გულით. ამ ღოცვა-ვედრებაში რომ იყვნენ, ერთი რაღაც გრკვნის ხმა შეესმათ, შეხედეს ნახეს რომ იმაზედ უფრო უსაშინელესი მხეცი გამოვიდა, სახე კაცისა ჰქონდა და სიდიდით ისეთი იყო რომ კაცი თვალს ვერ შეუწვდებოდა, მარჯვენა თვალიდამ მარცხენამდე სავი ალაჯი სიგანე ჰქონდა, საშინლად დაიდრიალს და იმ მხეცს მისწვდა რომელსაც ხომალდები ჩაყლავა, ეს მხეცი გაქცა, რა მან გაქცეული იხილა, ერთი ხელი ხოსროვირის ხომალდს წამოჭკრა და მეორე მეორეს, შესტურდნა და იმ მხეცს დასცდა მაგრამ ეს ხომალდები ას ოცს ალაჯზედ კარდაკდო, მოეწია ამ მხეცს შეისუნთქა და შეეკლავა, ამ საკვირველებასზე ხომალდში მსხდომნი უცნობო შეიქმნენ, გონებას რომ მოვიდნენ, თვისნი ხომალდნი კეთილ ალაგ იხილეს დიდათ გაჭკვირდნენ და ღმერთს მადლობა

შესწირეს; გინც იმ ხომალდში კერძო-მსახურნი იყვნენ, ურეკლნი მო-
იქცნენ, საბოლოო ღმერთს თაყუანი სცეს. ხოსროვირმა უმანგ-შაჰს ხილ-
ვს მოისურვა და ხომალდა იქით გააბრუნებინა.

იმ ჟამად, ხელმწიფე უმანგი ჭაზარიის შთაში ბძანდებოდა და ხო-
სროვირის ამბავს მოელოდა. ხელმწიფე ამ შთაში დაუტოოთ და ხოს-
როვირი ამ ზღვაში, მიმავლობაში. ყარამანისა და სარვიხურამანის ამბავს
გაუწყებოთ.

აქ ყარამანის შვილის ნარიმანის დაბადება სარვიხურამანი-
საკან და ყარამანისაკან ციხე-ქალაქის აშენება.

იმ ჟამად ყარამანი უმანგ-ბათში ბრძანდებოდა და მარადის ღზინსა
და შგებს იყო. რამდენიმე ჟამს შემდეგ სარვიხურამანი დაორსულდა და
ეოლას ვაჟი შვილი, ამისი მსმენელი ყარამანი უზომო მხიარულებას მი-
ეცა და ღმერთს მადლობდა. ახალი დაბადებული ყრმა, ასეთი მშვენიერი
რამ იყო რომ მზესა ჰგავდა, ასეთი სრული იყო რომ ახალი დაბადებუ-
ლი. ორი წლისას ჰგავდა, გულფონობა სახეზედ ეტუებოდა, ამისი ტი-
რილი ცის კრგუნასა ჰგავდა, ყარამანმა დიდი მეჭვლისი გამართა და სარ-
ვიხურამანის მორჩენისათვის მხიარულობდა და ყრმის სადღეგრძელოდ
მრავალი გასცა. ორმოც დღეს ღზინსა და შექცევაში იყვნენ, ორმოცი
დღე რომ შესრულდა, ბრძანა და ყრმა მოიყვანეს, ყარამანმა იგი ემა-
წვილი ჩამოართო, დიდის ალერსით და ბურჯ-ვეზირს უბრძანა: იმ ჟა-
მად ბურჯ-ვეზირი დიდი მეცნიერი კაცი იყო; შარიბ-შაჰს მეცნიერებით
და ვარსკვლავთ მრიცხველობით შეედრებოდა. „ბურჯ-ვეზირმა ამ ყრმას
სახეზე დახედა, შემდეგ მრიცხველობის წიგნი მოატანინა, უსუსური ყრმა
ძიძის მისცა ხელში, ხან წიგნს უეურებდა ხან ყრმასა, შემდეგ საე-
ლოს დაუწყო უერება და სცნა რომ მადლის ეტლის მქონებული იყო;
საბუირანს შეხედა და მოახსენა: ამ სამეცნიერო წიგნით უნდა დაერქვას
„ნარიმანი“, დიდი უმეწყალო სისხლის მღვრელი ფალევიანი იქნე-
ბო, რამდენჯერმე ვათის მთისაკენ საფარი მოუხდებო, დეგოა და ფე-
რით მრავალჯერ სძლეოს, მეტად მოჯაბრე კაცი იქნება, ბევრ ხელ-
მწიფეს ტახტიდამ გადმოაკლებს, საბუირანობის დავასაც დაიწყებს და
მრავალს ქალაქებს გააკეთებს და ამისი გაკეთებული ქალაქი ადარ უნდა
მოიშალოს; უფრო ხანს ინდოეთში დაჰყოფს და მრავალი განსაცდელი
მიადგება, შემდეგ ერთ ქალს გაუარძიოდება და იმის მიზეზით მრავალს
განსაცდელს შეემთხვევა და შემდეგ იმ ქალსაც შეირთავს, ამათ ერთი

ვაჟი ეკლავბთ და ქურგ-ყარამანს დაარქმევინო“. ბურჯ-ვეზირმა ესენ სულ სახის მეტყველებით სთქვა. ყარამანი გაჭკვირდა და უთხრა: გეზირო, ეგ სახელი რომელიც შენ სთქვი მე გულში მედვა.— შემიღებ ერთი მძიმე ხალათი უბოძა და საბოძვარი მრავალი სხვანიც მისცა, სხვა ვინც იქ იუზენ ეგუდას მრავალი უბოძა, მაშინვე ორმოცი ძიძა მოჭკვარეს, დღეში ერთი ძიძა აწოკებდა და სხვანი უგლიდნენ, ისეთი რამ იყო რომ ამდენი ძიძანი ძლივას აძლობდნენ, სხვა და სხვა ძუძუს წოვნის მიზეზი ის იყო რომ უფრო ძლიერი და მშვენიერი გამოვიდოდა, ამ გვარათ და უწიეს ზრდა, ყარამანი და სარგვისურამანი ჯინსა და შუებს იუზენ. ყარამანმა იფიქრა იმ ჟამად და უთხრა: მუნიჯინი რომ ამბობენ ჩვენის შვილისას, რომელიც მრავალ ციხესა და ქალაქს გააკეტებსო და საუკუნოდ დარჩებაო, სჯობს რომ ერთი ქალაქი და ციხე მეც გავაკეთო, ისეთი რომ ჯერ ქვეყანაზედ არ გაკეთებულა იმისთანა.

„რა იმ დამემ განვლო, ინდოეთის ხელფანთ მოუწოდა და უმასხინძლა, რა მეჯლისი მოიშალა, იქ მსხდომთ კალატოთ ყველას თავთავის საფერი ხალათი უბოძა და უბოძანა: ერთი ქალაქი და ციხე უნდა გავაკეთოთო, რომ იმისთანა არა გაკეთებულა იოსრა და არც არავის გაკეთებინოს ქვეყნის ზურგზე“.

რა ოსტატებმა ყარამანისაგან ესე მოისმინეს, თავიანი სტეს და მოახსენეს: სად ინებებთ ციხე-ქალაქის გაკეთებასო? მან უბოძანა: სადაც თქვენ მოგეწონოსო. გავიდნენ და ერთ ალაგ ერთი მდინარე მოიწონეს და იქ დააპირეს. დააუენეს დევები და ორმოცი დღე საძირკველი ათხრევიანეს, მაგრამ იმ ზირობით რომ იმ ციხე-ქალაქს ყოველი მხარე სხვა და სხვა მადნის ქვით ყოფილიყო ნაშენი. ზირველი მწვანე მარმარილოთი, მეორე თეთრი მარმარილოთი, მესამე მხარე შავით, მეოთხე ყვით-ლოთ, მეხუთე ლაჟვარდითა, მეექვსე ოქროს ვარაყითა, მეშვიდე ვერცხლის ვარაყით, მერვე სუმასის ქვითა, სულ სხვა და სხვა ფერის ეშით. რა კალატოთ ესე მოისმინეს, მოახსენეს: სააპირანო, ინდოეთში ხუთის ქვის მეტეს ვერ ვიშოვნით, მან უბოძანა: თქვენ ხელი მიჭყავით და მე შემძლები ვარო რომ ყაფის მთილამ მოვატანინო. მაშინვე ერთი ჯინი გაგზავნა და საჭმან-ადამიანთ-მონათესავე, თავისის თერთმეტის ამხანაგებით, მოვიდნენ და ყარამანს თავიანი სტეს. ყარამანმა საჭმანს უბოძანა: თქვენ უნდა წახვიდეთ და ყაფის მთის დევები ერთად შეჭვართო, და ჭინგ-ყალაში რაც ხარაბა ქალაქი არის, რვა ფერი მარმარილოც ქვა უნდა აზიდონო. მაშინვე თავი დაუკრეს ფრთა-ფრთასა ჭკრეს და ყაფის მთაში გაჩნდნენ. ყაფის მთის დენი აჭნის ციხეში მისხა, რაც იქ მარ-

მარილას ქვა იშოვეს წამოიღეს და რაც ვერ იშოვეს ყათის მთიდან შეასრულეს. უმანგ-ბათს იმაღენა ქვა მოიტანეს ორ დღეზე რომ, იმის ნახევარიც ეყოფოდათ, დევთა უბრძანა: კაცის სახედ შეიცვალენითო და მუშებს უშველეთო.

ასტატთა უკრამნის ბრძანებისამებრ მიჭვევს ხელი და ააშენეს სხვა და სხვა მადნის ქვით, ასეთი ციხე-ქალაქი ააშენეს რომ იმაზე უკეთესი აღარა ნახულა, უფველითურთ შემკობილი, ასეთი მაგარი იყო რომ რაც უნდა მძლავრი ხელმწიფე მისდგომდა იმის ადების წამალი არ ეკებოდა, თვინიერ ღვთისა. შემდეგ ხელმწიფე უკრამნმა ბურჯ-ვეზირს უბრძანა: ღვთის სახელს გაფიცებ, ამ ციხეს თუ აკლდეს რამე მითხარო. რომელმაც მომსვლელ მტერმაც ამას ვერა ავნოსრათ. გთხოვთ რომ თქვენც ერთი ამაგი დასდგათ, რომელიც თქვენ სიკვდილის შემდეგ სახელად დაგჩებათ და თქვენი მეცნიერებაც გამოაცხადეთო.

რას ბურჯ-ვეზირმა უკრამნისაგან ესე მოისმინა, მოახსენა: მხლად ორმოცი დღე ჰქმანი მომეციო და რაც თქვენი ნება იუოს ავასრულებო, მივიდა და ერთ ხელფანებს ხელი მიჭვეო. ორმოცი დღე რომ შესრულდა, მოვიდა ვეზირი და უკრამნს თავი დაუკრა და თავის მოქმედება უფველივე მოახსენა. უკრამნმა რომ ესე მოისმინა, თვისსა შესუთაბრს შეჯდა სარდალნი და ფაღვეანნი იანლა და ციხესთან მივიდა, ნახეს რომ მინარის თავზედ ე. ი. კაშკაზედ, ვეზირს ერთი ოქროს კაცი გაეკეთებინა, იმ კაცისთვის ცალს მკლავზედ მამალი შეესვა და მეორეზედ შავარდენი და იმ კაცის ჰიბრდამირ სარკვე გაეკეთებინა და შიგ ბურჯიოდ, სარდალთა და ფაღვეანთა მოახსენეს: ეს რა გაეკეთებინა? ვეზირმა უპასუხა: თქვენ ისეთი რამ გინდოდათ, რომ თქვენზედ მომავალი მტერი შეეტყობინებინა და მეც ესენი იმიტომ გავაკეთე. მაშინ უკრამნმა მოუწოდა ბურჯს და უბრძანა: რის შემძლეებელი არიანო? მან მოახსენა, მცირე მოითმინეთ, რა მცირე ხანი გამოხდა, კაცი შეხტა და ისევე დადგა მამალმა ფრთა-ფრთას შემოჭკრა და დაიფიცლა, ისე რომ იმისი შეუტყობარი კაცი არ დარჩა, ვინც გაიგონა უველას მოუწონა და ვეზირი აქეს, შემდეგ იმ შავარდენის სახემ ასეთი ხმა აღმოუტყვა რომ ინდოეთში მეფეთ ეგონათ რა ქვეყანას დაეცათ და ინდოეთის აცხრებაო. შემდეგ ისევე დაჩუმიდნენ და რთგორც იდგნენ ისევე დადგნენ, შემდეგ ის კაცი მობრუნდა და დასვლეთისაკენ ჰიბრ ქქმნა.

უკრამნმა იმის იმ გვარი მანქანის გაკეთებულება ძლიერ მოიწონა და გაიხარა, შემდეგ უბრძანა: მაგ მამლის ყივილი და შავარდენის ხმა რას ნიშნავს და ან იმ კაცის მობრუნებაო? ვეზირმა მოახსენა: დღე და

დამე ხომ ოცდა ოთხი საათია, ესენი თითო საათში ასე იქმნენ რომ ამ ქალაქის მცხოვრებთა ერთი საათის განმავლობაში შეიტყონ და უფლებანი მცხოვრებნი თავიანთ მოქმედებაზედ ბეჯითნი იყვნენ. ეს კაცის სახეც იმას ნიშნავს რომ თუ პირი დასაწყისისაკენ აქვს იცოდე მშვიდობა სუფევს და თუ სამხრეთისაკენ, ერთს საზარელს დაიძახებს რომ უფელთა შეიტყონ მტრის მომავლობა, და გაფრთხილდნენ.

რა ურამანმა და იქ მეოფთა დიდებულებმა მოისმინეს, ვეზირს მრავალი ქება შეასხეს და მრავლით დააჯილდოვეს, შემდეგ ოსტატები შეიყარნენ და ურამანს მიულოცეს, ურამანმა წყალობა და ხელათები უფელას უბოძა, ურამანმა და დიდებულთა იმ ციხეს კარს შემოუარეს, შინჯვა დაუწიეს, ნახეს რომ რომელიც წადილი ჰქონდათ უფრო უკეთ აშენებინათ. მაგრამ მტრნი რომ შემოსდგომოდნენ წყაღს მოუჭრიდნენ. ურამანი დიდათ შესწუხდა და ვეზირს უბოძა: თუ ილღოსოფოსთა თავო, უფელა კარგია მაგრამ, ეს კი ცუდათ მომხდარა რომ ამ ციხეში მეოფთ მტრისკან წყალი მოეჭრებათ. ვეზირმა მოახსენა: ფაღევანო, თქვენ მაგისტრის ნუ სწუხადთ, მაგის გაკეთება ჩემთვის ძლიერ ადვილია. მაშინ დევნი მოიხმე და თან წასხა, მიწა გაათხრევის და სამის დღის სავალზე წყალი დაკარგა. გარედამ კი არა სჩანდა და ციხეში უკლებლად მიმდინარეობდა, ესლაც იტყვიან რომ წყლის წადება იმ ბურჯ ვეზირისკან არის დაარსებულიო. შემდეგ ურამანმა იმ ციხეს თავისი სახელი დაარქვა და მას შემდეგ „ურამანია ქალაქს“ ეძახდნენ. ურამანმა კვალად ვეზირს ჰკითხა: ეს ქალაქი ჩემს შემდეგ, ვისკან უნდა წახდეს? ან ვინ უნდა დაეპატრონოს?

ბურჯ-ვეზირმა მაშინვე სამისნო წიგნი აიღო და სტროლახი წინ დაიდვა, მცირეს ხანს უუერა და მოახსენა: უფელთა უწარჩინებულესო ფაღევანო, თქვენ შემდეგ სამი ვინმე უნდა გახელმწიფდნენ, სამნივე საბუიარნები იქნებიანო, ერთი დავით წინასწარმეტყველის თესლისა იქნება, მეორე სკანდარ-ზულდარისა, მესამე ჯიმშედისა. ბურჯ-ვეზირისკან რომ ესე მოისმინა, ბოძა ურამანმა: თქვენ რომ ეგრე ბოძებთ ვეზირო, მას ქალაქი არავისკან დაიტყვას? ვეზირმა მოახსენა: ეს ციხე-ქალაქი ჟამთა ვითარებაში იქნება, სტროლახი ეგრე მაჩვენებს. კვალად ოქროს-ხელკანნი მოიხმე და იმ ციხეზედ განზიდული ოქროს-დააკურევისა მრავლის ხელფანებით შექმნილი, ვეზირმა მოახსენა: ეს ოქროც მრავალს გასძღებს, მაგრამ თქვენს შემდეგ ერთი ქეთარ-ჭინდი უნდა მოვიდეს და იმისკან უნდა გაიძარცვოს, დიდი ამისა და ბრძოლის შემდეგ. ესე დასრულა ბურჯ-ვეზირმა თავის წინასწარ-მეტყველებას.

რა ეს სხენებულნი ციხე-ქალაქი უფლისფერით შეამკო, ურამანმა ზრდასნება ვასცა და ინდოეთს მუთონი დიდებულნი და ფაღვანნი შემოი-
 უარა და იმ ციხე-ქალაქში გაუმასხინსლდა და ამ რიგათ, სამს წელს შვე-
 ბას და ღებინს იყო. შემდეგ მუთონზე წელს უფკელნი თავ-თავისად წა-
 ფიდნენ და ურამანიც უმანგ-ბათში წაბძანდა და სარგებურამანთან ილა-
 ხენდა და ღმერთს ადიდებდა.

იმ ჟამად ხარბიანი შვილის წლისა იყო, მაშინვე ეტყობოდა რომ
 ხარბიანი მკლავ-ძალიანი ფაღვანი გამოდიოდა, ხანდახან გაჯავრებული
 რომელ კაცსაც მუშტს დაჭკრავდა, მიწასთან გაასწორებდა, დღე არ გა-
 ფიდოდა რომ შვიდი-რვა არ მოსულიყო ურამანთან ხარბიანის ძამიწივა-
 რი, ზოგი შვილისა, ზოგი ძმისა, ზოგი მამის სიკვდილისაუყის. ამ
 საქმეს ურამანი დიდათ შეიჭირებდა. ურამანი ერთ დღეს ისე განრისხ-
 და ხარბიანის მოქმედებაზე რომ ხარბიანის სიკვდილი მოინდომა. რა
 სარგებურამანმა ესე შეიტყო ურამანისაგან, ერთ დამეს ხარბიანის ლა-
 ლა თაღეთ-ჭინდი და რამდენიმე მსახურნი, შინა-უმანი ხარბიანითურთ
 ხომადღს ჩასხა და ურამანია ქალაქს გაგზავნა, ამასობაში რამდენსამე
 დღის უკან ურამანს მახსენდა რომ ხარბიანი უჩინო შეიქმნაო, იმ ჟა-
 მად ურამანი დიდ მწუხარებას მიეცა და სარგებურამანთან მწუხარე იტ-
 ყოდა, ძე იგი ჩემი რისათვის მამიჩხა, რომ არ მოგვალა, ის ქვეყნის
 შემაწუხებელი. მე ვიცნობ ის ასეთი უკეთური რამ არის რომ მრავალს
 უბრალად სისხლს დააქცევს და იმის უფლა დვთის საამო საქმე არ არისო.
 იმ ჟამად საჭმან-ალამ-ზადი დათხროვნილი იყო და თავის ქვეყნაში სცხოვ-
 რებდა. ურამანმა ფერათ უბძანა: „ტეი, ეთკუღნო! ამ წამსვე ჩემის
 მწუხარების მჭარვებელი საჭმანი მომგვარეთო“. ესენი მსწრაფად წარვი-
 დნენ და მასვე წამს საჭმანი ურამანს იახლა, უაფის მთიური ფეშქაშები
 მრავალი მოართვა, უაფის მთაში მკვიდრთ დევთ, რა ურამანისაგან და-
 ბარებული ხახეს საჭმანი, ესენიც ამას თავდადებულნი უკან გამოუდგნენ
 და ურამანის წინაშე გამოცხადდნენ, მრავლის ფეშქაშების მომრთმევინი,
 მაგრამ ურამანის უფლი მრისხანებისაგან არც მაშინ, დასცხრა და გა-
 ჯავრებით უბრძანა: ტეი, უაფის მთის დევნო და ხელმწიფენო! ჩემი
 შვილი ხარბიანი უჩინო შეიქმნა და არა თუ თქვენ, არამედ სხვასაც არა-
 ვის შეეძლოთ და ვერც არავინ სხვა იმას შესაზერობლად შეჭებდავდა,
 აწვე მუწუგთ თვარა საბოთ ღმერთსა ვფიცავ ვუკლას მოვსრავ“

მაშინ მოახსენეს შეძრწუნებულთა დევთა: ღომო ღომთაო, ჩვენო
 ხელმწიფეუ სააზვიარანო! ეგ ფიჭრი დაუტყვეთ და ნურას ჟამს ნუ იფიჭ-
 რებთ რომ დევნი თქვენ მოდალატეთ გაგინდნენ და შენს ნათესავს ავ-

ნონ რამეთუ, არამც თუ თქვენს შვილს; ეს ჩვენგან არადღეს არ შეიძლება და ვგონებთ რომ სხვა მხრით იყოს შენი შვილის უჩინოდ შექმნის მიზეზი. რა ღვეთა ესე უთხრეს, ყარამანი დაერწმუნა რომ უბრალონი იყვნენ. მაშინ ეს ღვენი უოველნი სხვა და სხვა მხარეს დაფანტნენ ნარიმანის საქებულად, ჯინისტნის სულთანსაც წიგნი მისწერა და ეს ამბავი აცნობა და მათაც რამდენიმე კვირა ვლეს, მაგრამ ამბავი ვერა სცნეს. რა ყარამანმა ნარიმანის სად ყოფნა ვერა სცნა, ჯინისტნულნი და ყათის შთელნი დაითხოვა და საჭმანი კი თავისთან დანარჩუნა, შემდეგ თავის ბურჯ-ვეზირს უბანა, უმანგ-ხელმწიფისთან წიგნის მიწერა და ნარიმანის ამბვის ცნობა, ეს წიგნი საჭმანს უბოძა და უბოძანა: შირათაც მოახსენე ჩემს ხელმწიფეს, თქვენი ხილვა დიდათ მსურდა თუ მიბრძანებ მინდა განახოთქო. ერთი წიგნიც თავის სიამამს რაჭინდ მისწერა და ნარიმანის ამბავიც, ყარამანი თავის შვილის სიკვდილისათვისა დიდი მოსწრაფე იყო.

რა სარგისურამანმა ყარამანისა ესეთი ბეჯითი ძებნა ნახა, ნარიმანის ჯაღას თაღუდს წიგნი მიწერა, ვითარცა თრმოცი მწერთა თრმო მითხარე და ეკ ყრმა შიგ დამალე რომ ყარამანმა მაგისი მანდ ყოფნა არ გაიგოსო. იმ უამად ნარიმანი ათ-ხუთმეტის წლისა იყო და რა ნარიმანმა თავის მამის ესეთი რისხვა შეიტყო, ვითა ყრმათა წესისა დიდათ განრისხდა და სთქვა:—თუ ის ყარამანია, მე ნარიმანი ვარო, საბოთ ღვეთის მადღმა, თუ ჭკუა აქვს თავისთვის დადგეს, ათრემ იმის სახელს ქვეყნით ავხოცო. ესე სთქვა და ამავე სიტყვით თავის მამის წიგნს მიწერა და თვითონ ყარამანია ქალაქში შეექცეოდა ღზინსა და შებას იყო.

აქ ყარამანის დისწულის ყოვლი-შირვანის მოსვლა. ყარამანისაგან გამოცდით ბრძოლა და იმისი ძლევა. აქ ნარიმანის უკუ-დგომა, ყარამანია-ქალაქში შესვლა და ნარიმანისაგან ყარამანის ბრძოლა.—საჭმანისა და ნარიმანის ბრძოლა. ნარიმანისა და ყოვლი-შირვანის ბრძოლა, ყოვლისაგან ნარიმანის შეპყრობა და ყარამანის შერეგება.

ძალი იყო ვინმე, ქვეყანასა დასავლეთისასა ჩინებულნი და სახელგანთი ფალეგანი, რომელსაც უწოდა ყოვლი და გვარად შირვანი და ითქმის ყოვლი-შირვანი. ეს ნათესავი იყო და არა შორეული ყარამანისა და

კაცი ესე უკრამანს ბიძად უხმობდა, ეს უოველი სიერშითვე აქამოდე თა-
